შპს ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ

ვაჟა-ფშაველას გამზირი №16, II სართული,
ტელ/ფაქსი +995 32 237 10 09

ს/კ 404870724

GEORGIAN CONTEMPORAY CONSTRUCTION LTD.

Vazha-Pshavela Ave. #16, II Floor,
Tel/Fax +995 32 237 10 09

I/C 404870724

13.06.2018 წ.

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

წარმოდგენილია ქ. თბილისში, საბურთალოზე, ნუცუბიძის ქ. #139-ში, მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული კონსტრუქციული პროექტი.

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტი წარმოადგენს უკვე შესწავლილი პროექტის კორექირებულ ვარიანტს, რომელიც პირველადი პროექტისგან განსხვავდება შენდეგი პარამეტრით:

1. **-2.25 ნიშნულზე 1-2 და ა-დ ღერძებში მოხდა გადახურვის ფილით სართულის შევსება.**

შესწავლილ იქნა შენობის კორექტირებული საანგარიშო სქემა და წარმოდგენილი მუშა ნახაზები.

<u>დასკვნა:</u>

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტი კონსტრუქციული თვალსაზრისით უმნიშვნელოდ განსხვავდება პირველადი პროექტისაგან. წარმოდგენილი ცვლილებები ახდენენ შენობის დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაზე მინიმალურ გავლენას. შესაბამისად შეიძლება გაკეთდეს ცალსახად დადებითი დასკვნა, რომ კორექტირებული პროექტი (ისევე როგორც პირველადი კონსტრუქციული პროექტი) აკმაყოფილებს მდგრადობისა და სიმტკიცის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს და სრულიად ვარგისია მშენებლობის განხორციელებისთვის.

შპს ,,ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ“-ის
მმართველი პარტნიორი/მთავარი ინჟინერი:

დავით გიგინეიშვილი
ინჟინერ კონსტრუქტორი - მშენებლობის მაგისტრი

შპს ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაქშენ

ვაჟა-ფშაველას გამზირი №16, II სართული,
ტელ/ფაქსი +995 32 237 10 09

ს/კ 404870724

GEORGIAN CONTEMPORAY CONSTRUCTION LTD.

Vazha-Pshavela Ave. #16, II Floor,
Tel/Fax +995 32 237 10 09

I/C 404870724

14.10.2016 წ.

კონსტრუქციული დასკვნა

წარმოდგენილია **ქ. თბილისში, ნუციბიძის ქ. #139-ში ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის** კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზები და გაანგარიშებები. შენობა არის 8-სართულიანი, მიწისზედა 6 და მიწისქვეშა 2 ავტოპარკინგის დონით.

შენობის გეგმარებითი პარამეტრები: შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა მაქსიმალური ღერძული ზომებით: **28.50 X 14.8 მ.** შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი კარკასული მონოლითური რკინაბეტონის სისტემა. შენობის სართულის მაქსიმალური სიმაღლე, **H=3.3 მ;** შენობის მაქსიმალური მალი ღერძებში აღწევს **L=6.9 მ;**

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი განლაგებულია **8 ბალიანი** სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით **(A=0.17);** გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II;

სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - **85 კგძ/მ²** (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - **50 კგძ/მ²** (14 დღე - თოვლის საფარის დღეთა რიცხვი)

შენობისა და მათი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემის გაანგარიშება, მუდმივ (საკუთარი წონა), დროებით (300კგძ/მ²), ხანმოკლე (200კგძ/მ²), თოვლის (50კგძ/მ²), ქარის (85კგძ/მ²), ჰორიზონტალურ 0.17g აჩქარების (1.66 მ/წმ²) შესაბამის სეისმურ ზემოქმედებაზე (ტექნიკური რეგლამენტი - ,,სეისმომედეგი მშენებლობა''-ს მიხედვით) შესრულებულია კომპიუტერული კომპლექსის **LIRA-SAPR 2013 R3**-ის გამოყენებით, სასრული ელემენტების საფუძველზე.

შენობის დაფუძნება გადაწყვეტილია კომბინირებული საძირკვლის მეშვეობით დაბალი 2 სართულიანი პარკინგი დაფუძნებულია ლენტურ საძირკველზე ზომებით ხოლო შენობის მაღალი (ძირითადი) ნაწილი დაფუძნებულია **მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილის მეშვეობით სისქით H=800მმ.** საძირკველის ფილა დაყრდნობილია **ძირითად ქანზე** (ნაკლებად გამოფიტული არგილითი ნახევრად კლდოვანი ქანი), რომლის საანგარიშო წინაღობად ერთღერძა კუმშვაზე, მიღებული უნდა იქნას **R_c=45.0 კგძ/სმ².** გრუნტის კედლების მოწყობის შემდეგ უნდა განხორციელდეს შენობის პერიმეტრზე გრუნტის უკუჩაყრა და დატკეპნა სრულ გამყარებამდე, რათა მოხდეს შენობის დაფიქსირება გრუნტში.

სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, გრუნტის გეოლოგიური მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელი კომპანია უნდა გაეცნოს გეოლოგიურ დასკვნას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს. უნდა გატარებულ იქნას შესაბამისი ღონისძიებები და სხვადასხვა დანამატების მეშვეობით მიიღწეს არანაკლებ W8 ეკვივალენტური წყალშეუღწევობის მარკა საძირკვლების და მიწასთან შეხების ზონაში მყოფი კონსტრუქციებისათვის ან/და მოეწყოს ეკვივალენტური

იზოლაცია (ჰიდროსაიზოლაციო მემბრანა). ასევე გამოყენებულ უნდა იქნას სულფატომედეგი ბეტონი (რაც მოცემულია პროექტის განმარტებით ბარათში).

შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ზომები:

საძირკვლის ფილა: 800მმ;

ლენტური საძირკველე:

სვეტები: 600X600მმ; 500X500მმ; 400X400მმ;

მონოლითური კედლები: 250მმ; 200მმ;

გადახურვის ფილა: 180მმ; 200მმ;

კოჭები: 500X500მმ; 400X500მმ; 200X500მმ;

კიბის პანდუსი: 180მმ;

პროექტი შესრულებულია ქვეყანაში მოქმედი შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად:

1) ტექნიკური რეგლამენტი - ,,სამშენებლო კლიმატოლოგია''
2) ტექნიკური რეგლამენტი - ,,სეისმომედეგი მშენებლობა''
3) ტექნიკური რეგლამენტი - ,,ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები''
4) ტექნიკური რეგლამენტი - ,,შენობისა და ნაგებობის ფუძეები''
5) СНиП 2.01.07.85. «Нагрузки и воздействия»

<u>დასკვნა:</u>

საექსპერტო შეფასებისას შემოწმებულ იქნა კომპიუტერული საანაგრიშო მოდელი და მუშა ნახაზები. კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში (სასრულ ელემენტთა მოდელში) გადამოწმებულ იქნა სტატიკური და დინამიკური დატვირთვების მნიშვნელობები მათი შეხამებები და შედარებულ იქნა შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტაციასთან. შემოწმებულ იქნა მიღებული შედეგები და მთლიანად შენობის მოდელის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა.

მუშა ნახაზები შესრულებულია მაღალ დონეზე შესაბამისი დეტალიზაციით და ითვალისწინებს კონსტრუქციულ ანგარიშში გათვალისწინებულ თავისებურებებს.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს ცალსახად დადებითი დასკვნა, რომ მთლიანად არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტილებათა საფუძველზე შედგენილი კომპიუტერული მოდელის გაანგარიშებათა შედეგები აკმაყოფილებს მდგრადობისა და სიმტკიცის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს კონსრტუქციული პროექტი აბსოლუტურად ვარგისია მშენებლობის განხორციელებისათვის.

შპს ,,ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაქშენ"-ის
აღმასრულებელი დირექტორი/მთავარი ინჟინერი:

დავით გიგინეიშვილი
ინჟინერ კონსტრუქტორი - მშენებლობის მაგისტრი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

With honours

STU № 000714

This is to certify that Mr./Ms. David Gigineishvili (Name, Surname)

was enrolled in 2002 in Georgian Technical University and in 2006 completed the requirements of Faculty of Civil Engineering Bachelor's Degree of the University with major in Industrial and Civil Engineering

By the decision of the State Qualification Commission, September 18, 2006. (Month, Day, Year) Mr. David Gigineishvili (Name, Surname) was awarded the Academic Degree of Bachelor of Civil Engineering

Seal

Rector

Dean

City: Tbilisi

Registration # 05752

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

წარჩინებით

STU № 000714

ეძლევა დავით გიგინეიშვილს

მასზედ, რომ იგი 2002 წელს ჩაირიცხა და 2006 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის

ბაკალავრიატის სრული კურსი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით

საკვალიფიკაციო კომისიის 2006 18. 9 (წელი, რიცხვი, თვე) გადაწყვეტილებით დავით გიგინეიშვილს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მშენებლის კვალიფიკაცია

რექტორი

ბ.ა.

დეკანი

ქალაქი თბილისი

სარეგისტრაციო ნომერი 05752

Georgia IDENTITY CARD

საქართველო

GEO

სახელი / FIRST NAME

დავით

DAVID

გვარი / LAST NAME

გიგინეიშვილი

GIGINEISHVILI

მოქ. / CIT GEO

სქესი / SEX მ / M

პირადი No / PERSONAL No 01010013952

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH 26.10.1984

მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY 24.09.2023

ბარათის No / CARD No 13IB89201

ხელმოწერა / SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH

უკრაინა

UKRAINE

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE

24.09.2013

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY

იუსტიციის სამინისტრო

MINISTRY OF JUSTICE

```
IDGEO13IB89201901010013952<<<<
8410261M2309246GEO<<<<<<<<<<<8
GIGINEISHVILI<<DAVID<<<<<<<<<<
```

შპს "ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაქშენ" GEORGIAN CONTEMPORARY CONSTRUCTION GCC 404870724 GEORGIA LTD.

შპს ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ

ვაჟა-ფშაველას გამზირი №16, II სართული,
ტელ/ფაქსი +995 32 237 10 09

ს/კ 404870724

GEORGIAN CONTEMPORAY CONSTRUCTION LTD.

Vazha-Pshavela Ave. #16, II Floor,
Tel/Fax +995 32 237 10 09

I/C 404870724

03.04.2017 წ.

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

წარმოდგენილია ქ. თბილისში, საბურთალოზე, ნუცუბიძის ქ. #139-ში, მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული კონსტრუქციული პროექტი.

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტი წარმოადგენს უკვე შესწავლილი პროექტის კორექირებულ ვარიანტს, რომელიც პირველადი პროექტისგან განსხვავდება შენდეგი პარამეტრებით:

1. **პირველი სართულის სვეტების და კედლების სიმაღლე შეცვლილია (გაზრდილია) 550მმ-ით.**
2. **შენობის საერთო სიმაღლე მომატებულია 550მმ-ით.**

შესწავლილ იქნა შენობის კორექტირებული საანგარიშო სქემა და წარმოდგენილი მუშა ნახაზები.

<u>დასკვნა:</u>

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტი კონსტრუქციული თვალსაზრისით უმნიშვნელოდ განსხვავდება პირველადი პროექტისაგან. წარმოდგენილი ცვლილებები ახდენენ შენობის დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაზე მინიმალურ გავლენას. შესაბამისად შეიძლება გაკეთდეს ცალსახად დადებითი დასკვნა, რომ კორექტირებული პროექტი (ისევე როგორც პირველადი კონსტრუქციული პროექტი) აკმაყოფილებს მდგრადობისა და სიმტკიცის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს და სრულიად ვარგისია მშენებლობის განხორციელებისთვის.

შპს „ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ“-ის
მმართველი პარტნიორი/მთავარი ინჟინერი:

დავით გიგინეიშვილი
ინჟინერ კონსტრუქტორი - მშენებლობის მაგისტრი

შპს ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ

ვაჟა-ფშაველას გამზირი №16, II სართული,
ტელ/ფაქსი +995 32 237 10 09

ს/კ 404870724

GEORGIAN CONTEMPORARY CONSTRUCTION LTD.

Vazha-Pshavela Ave. #16, II Floor,
Tel/Fax +995 32 237 10 09

I/C 404870724

14.03.2018 წ.

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

წარმოდგენილია ქ. თბილისში, საბურთალოზე, ნუცუბიძის ქ. #139-ში, მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული კონსტრუქციული პროექტი.

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტი წარმოადგენს უკვე შესწავლილი პროექტის კორექირებულ ვარიანტს, რომელიც პირველადი პროექტისგან განსხვავდება შენდეგი პარამეტრებით:

1. **-6.25 ნიშნულზე ‘ა’-ღერძის გასწვრივ 5-6 ღერძებს შორის გაიზარდა დიაფრაგმის სისქე;**
2. **-6.25 ნიშნულზე ‘6’-ზე ღერძის გასწვრივ ‘ბ’ და ‘ც’ ღერძებზე გაიზარდა სვეტების გაბარიტული ზომები;**
3. **-2.65 ნიშნულზე ‘ბ’-ღერძის გასწვრივ 5-6 ღერძებზე დაემატა რკინაბეტონის მონოლითური სვეტები;**
4. **-2.65 ნიშნულზე ‘ა’-ღერძის გასწვრივ 5-6 ღერძებს შორის გაიზარდა დიაფრაგმის სისქე;**
5. **მიწისპირა დონეზე ‘6’-ზე ღერძის გასწვრივ მოეწყო მონოლითური საყრდენი კედელი.**

შესწავლილ იქნა შენობის კორექტირებული საანგარიშო სქემა და წარმოდგენილი მუშა ნახაზები.

<u>დასკვნა:</u>

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტი კონსტრუქციული თვალსაზრისით უმნიშვნელოდ განსხვავდება პირველადი პროექტისაგან. წარმოდგენილი ცვლილებები ახდენენ შენობის დაძაბულ-დეფორმირებულ მდგომარეობაზე პოზიტიურ მინიმალურ გავლენას. შესაბამისად შეიძლება გაკეთდეს ცალსახად დადებითი დასკვნა, რომ კორექტირებული პროექტი (ისევე როგორც პირველადი კონსტრუქციული პროექტი) აკმაყოფილებს მდგრადობისა და სიმტკიცის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს და სრულიად ვარგისია მშენებლობის განხორციელებისთვის.

შპს ,,ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ“-ის
მმართველი პარტნიორი/მთავარი ინჟინერი:

დავით გიგინეიშვილი
ინჟინერ კონსტრუქტორი - მშენებლობის მაგისტრი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/გ 40-19

"09" 01 2019 წ.

დადგენილება №003898 / 000233
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

09.01.2019წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2018 წლის 6 აგვისტოს №003898 მითითება და 2018 წლის 10 სექტემბრის №003898 შემოწმების აქტი, 2018 წლის 24 დეკემბრის №000233 მითითება და 2019 წლის 3 იანვრის №000233 შედგენილი შ.პ.ს. "მოზაიკა"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №405116235, დირ. ვარლამ ცეკვავა, №01805046066, რუსეთი, საქართველო) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №139, საკ. კოდი №01.14.02.024.019-ში შ.პ.ს. "მოზაიკა"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3936849 AR1591390 30.04.2018წ. №4034325 AR1608982 26.06.2018წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2018 წლის 6 აგვისტოს შედგენილ იქნა მითითება №003898, რომლითაც მხარეს განესაზღვრა ოცდახუთი კალენდარული დღის ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად. დაფიქსირებულ იქნა შემდეგი სამშენებლო დარღვევები: შენობაში შეცვლილია კოლონების რაოდენობა და ნაწილობრივ კვეთი. გაზრდილია ლიფტის შახტის სიგანე. პანდუსის ქვევით 1-1 ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია მცირე სიმაღლის მონოლითური საყრდენები. მონოლითური და სამშენებლო ბლოკის კედლები ნაჩვენებია ერთი ფაქტურით. საკომუნიკაციო შახტებისთვის განკუთვნილი ღიობები არ შეესაბამება საპროექტოს. რიგელების ნაწილი არ არის ნაჩვენები პროექტში. -6.25 ნიშნულზე 4-5 მონაკვეთში a-a და b-b ღერძების მიმდებარედ იატაკის ფილაში დამატებით მოწყობილია ღიობი. ამავე ნიშნულზე 2-3 მონაკვეთში ბ-ბ ღერძის მიმდებარედ შეცვლილია იატაკის ნიშნული. -6.25 და -2.65 ნიშნულებზე ა-ა ღერძზე 5-6 მონაკვეთში გაზრდილია დიაფრაგმების სისქე. ±0.00 ნიშნულზე 6-6 ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია მონოლითური საყრდენი კედელი.

ჩაბარდა 06.02.2019წ

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

+19.80 ნიშნულზე a-a და d-d ღერძებთან პარაპეტებზე გაუქმებულია კოლონები. ამავე ნიშნულზე გაზრდილია კიბისთვის განკუთვნილი სათავსოს სიგრძე. 6-1 ფასადზე +19.80 ნიშნულზე პარაპეტზე ბლოკის წყობის ხარჯზე შეცვლილია პარაპეტის სიბრტყე.

2018 წლის 10 სექტემბერს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის მიერ შედგა შემოწმების აქტი №003898, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა, კერძოდ, ნაწილობრივი შესრულება. ადგილზეა გამოსწორებული შემდეგი სამშენებლო დარღვევები: „+19.80 ნიშნულზე a-a და d-d ღერძებთან პარაპეტებზე გაუქმებულია კოლონები" და "6-1 ფასადზე +19.80 ნიშნულზე პარაპეტზე ბლოკის წყობის ხარჯზე შეცვლილია პარაპეტის სიბრტყე." სამშენებლო დარღვევა "ამავე ნიშნულზე გაზრდილია კიბისთვის განკუთვნილი სათავსოს სიგრძე" წარმოადგენს შეცდომას. სხვა დარღვევები არ არის გამოსწორებული.

2018 წლის 20 სექტემბერს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის თაობაზე კანონით გათვალისწინებული წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. "მოზაიკა"-ს წარმომადგენლი უჩა ზაქაშვილი (პირადი №01002016160, მინდობილობა, გაცემული შ.პ.ს. "მოზაიკა"-ს დირექტორის ვარლამ ცეკვავას მიერ 14.08.2018წ.), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მანვე აღნიშნა, რომ დარღვევები რომლებიც განხორციელებული იყო 21 მარტის შემდგომ, კერძოდ, „+19.80 ნიშნულზე a-a და d-d ღერძებთან პარაპეტებზე გაუქმებულია კოლონები" და "6-1 ფასადზე +19.80 ნიშნულზე პარაპეტზე ბლოკის წყობის ხარჯზე შეცვლილია პარაპეტის სიბრტყე" გამოსწორებულია ადგილზე, რაც ფიქსირდება შემოწმების აქტით, ხოლო დანარჩენი დარღვევები განხორციელდა 2018 წლის 21 მარტამდე და შესაბამისად მათზე უნდა გავრცელდეს იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქცია. მხარემ ასევე წარმოადგინა შიდა სამსახურებრივი დოკუმენტაცია, რომლითაც ასევე დასტურდება, რომ პანდუსის ქვეშ მოეწყო დროებითი მონოლითური კედელი 2017 წლის 10 აპრილს და -5.82 და -2.77 ნიშნულებზე "თ" ღერძზე, "5" და "6" ღერძებს შორის დროებითი დამატებითი კედელი მოწყობილია 2017 წლის 25 მარტს. მხარემ ასევე წარმოადგინა კონსტრუქტორის მოხსენებითი ბარათი. მხარემ განაცხადა, რომ აღნიშნული დარღვევების არსებობას, ასევე ადასტურებს თებერვალში უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის დაჯარიმების დროს გადაღებული სურათები.

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის 2018 წლის 9 ნოემბრის №4-3/210[1]-გ/18 ბრძანებით სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვის ვადა გაგრძლებულ იქნა 2018 წლის 9 ნოემბრიდან 2019 წლის 9 იანვრის ჩათვლით

მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2018 წლის 24 დეკემბერს შედგენილ იქნა მითითება №000233, რომლითაც მხარეს განესაზღვრა ოცდახუთი კალენდარული დღის ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად. დაფიქსირებულ იქნა შემდეგი სამშენებლო დარღვევები: ფასადები: დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. გაზრდილია საკომუნიკაციო შახტების სიმაღლე. ფასადი a-d ღერძებში: d-d ღერძთან დამატებით მოწყობილია მცირე ზომის ღიობები. -6.25 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის ვიზუალი. -2.65 ნიშნულზე c-b მონაკვეთში დამატებით

მოწყობილია ვიტრაჟი. b-c მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე მოწყობილია კარ-ფანჯრის ღიობი. ფასადი d-a ღერძებში: ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების ვიზუალი, ვიტრაჟების მიმდებარედ დამატებით მოწყობილია ბლოკის კედლები. შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. 4-4 ღერძთან დამატებით მოწყობილია ბლოკის კედლები. 6-6 ღერძზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი. პარაპეტზე დამატებით მოწყობილია თუნუქის ფურცლები. გაზრდილია ლიფტის შახტის გადახურვის სიმაღლე.

2019 წლის 3 იანვარს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000233, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა. საქმეშია, მხარის №19/01183593516-17 25.12.2018წ. განცხადება, რომლითაც მხარე ეთანხმება სამსახურის №000233 24.12.2018წ. მითითებას და მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება მხარის დასწრების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. "მოზაიკა"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქ. №139, საკ. კოდი №01.14.02.024.019-ში შ.პ.ს. "მოზაიკა"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3936849 AR1591390 30.04.2018წ. №4034325 AR1608982 26.06.2018წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადები: დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილები. გაზრდილია საკომუნიკაციო შახტების სიმაღლე. ფასადი ა-დ ღერძებში: დ-დ ღერძთან დამატებით მოწყობილია მცირე ზომის ღიობები. -6.25 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟის ვიზუალი. -2.65 ნიშნულზე ც-ბ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ვიტრაჟი. ბ-ც მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე მოწყობილია კარ-ფანჯრის ღიობი. ფასადი დ-ა ღერძებში: ±0.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების ვიზუალი, ვიტრაჟების მიმდებარედ დამატებით მოწყობილია ბლოკის კედლები. შენობაში შეცვლილია კოლონების რაოდენობა და ნაწილობრივ კვეთი. გაზრდილია ლიფტის შახტის სიგანე. პანდუსის ქვევით 1-1 ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია მცირე სიმაღლის მონოლითური საყრდენები. მონოლითური და სამშენებლო ბლოკის კედლები ნაჩვენებია ერთი ფაქტურით. საკომუნიკაციო შახტებისთვის განკუთვნილი ღიობები არ შეესაბამება საპროექტოს. რიგელების ნაწილი არ არის ნაჩვენები პროექტში. შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. -6.25 ნიშნულზე 4-5 მონკავეთში a-a და b-b ღერძების მიმდებარედ იატაკის ფილაში დამატებით მოწყობილია ღიობი. ამავე ნიშნულზე 2-3 მონაკვეთში b-b ღერძის მიმდებარედ შეცვლილია იატაკის ნიშნული. -6.25 და -2.65 ნიშნულებზე a-a ღერძზე 5-6 მონაკვეთში გაზრდილია დიაფრაგმების სისქე. ±0.00 ნიშნულზე 6-6 ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია მონოლითური საყრდენი კედელი. 4-4 ღერძთან დამატებით მოწყობილია ბლოკის კედლები. 6-6 ღერძზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი. პარაპეტზე დამატებით მოწყობილია თუნუქის ფურცლები. გაზრდილია ლიფტის შახტის გადახურვის სიმაღლე.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის

მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "მოზაიკა" დაჯარიმდეს 15.000 (თხუთმეტიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "მოზაიკა"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "მოზაიკა"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე **ბამუკა ჯაყელი**

საგადახდო დავალება
Payment Order

1550067064 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 14/02/2019

გადამხდელი / Sender

შპს მოზაიკა, 405116235

რეფერენსი / Ref. Num.

2481420943

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account: GE96TB7813136080100003

თანხა / Amount: 15,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank: სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code: TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name: შპს მოზაიკა, 405116235

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code: 405116235

თანხა სიტყვიერად
Amount in words

თხუთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code: 300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury: ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code: TRESGE22

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date
14/02/2019

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება #003898/000233 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა
Signature

დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.